

ინგლისური ენის ფლოგის დონის განმსაზღვრელი ტესტი 3

საოფისე პროგრამების ფლოგის დონის განმსაზღვრელი ტესტი 5

ძირითადი სააზროვნო უნარების შესაფასებელი ტესტები 6

სახელმწიფო ენის ფლოგის დონის განმსაზღვრელი ტესტი 8

საკანცელარიო უნარების ტესტი 10

ეგოცენტრი ინტელექტის შესაფასებელი ტესტი 12

კრატეტიკული ინტელექტის შესაფასებელი ტესტი 13



შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

National Assessment and
Examinations Center



UNIVERSITY OF CALIFORNIA, BERKELEY

Enter your login name

ფლობის დონის განმსაზღვრელი ტესტი

ტესტის მიზანი

ტესტი ადგენს, თუ რა დონეზე ფლობს საგამოცდო პროცესის მონაწილე ინგლისური ენის **გრამატიკულ სტრუქტურებსა** და **ლექსიკას**, ასევე იმას, თუ რამდენად აქვს განვითარებული **კითხვის, მოსმენისა და ლაპარაკის უნარები**. ინგლისური ენის ფლობის დონე განისაზღვრება **საერთო ევროპული ჩარჩოს (Common European Framework of Reference for Languages)** მიერ დადგენილი დონეების ანალოგიურად (**A1, A2, B1, B2, C1**). სერტიფიკატში აისახება, თუ რა დონეზე ფლობს ტესტირების მონაწილე ინგლისურ ენას.

ტესტის შუფასება

ტესტირება ჩატარდება კომპიუტერულად. პირველი ნაწილის შედეგს მონაწილე გაიგებს მყისიერად, ტესტის დასრულებისთანავე, ხოლო მეორის შედეგი ცნობილი გახდება 7-10 დღის შემდეგ. ტესტირების შედეგების მიხედვით დადგინდება, თუ რა დონეზე ფლობს მონაწილე ინგლისურ ენას, რაც, თავის მხრივ, სრულ შესაბამისობაში იქნება უცხოური ენების ფლობის **საერთო ევროპული ჩარჩოს მიერ დადგენილ დონეებთან: A1, A2, B1, B2, C1**.

ტესტის ფორმატი

ტესტი შედგება 2 ნაწილისაგან. საგამოცდო პროცესის მონაწილეს შეუძლია ჩააბაროს როგორც ტესტი მთლიანად, ისე მისი ერთ-ერთი ნაწილი.

- ◆ **პირველი ნაწილი** ამოწმებს გრამატიკული სტრუქტურებისა და ლექსიკის ცოდნას, ასევე იმას, თუ რამდენად აქვს განვითარებული მონაწილეს წაკითხულის გააზრების უნარი. ტესტის ეს ნაწილი შედგება სხვადასხვა სირთულის არჩევით პასუხიანი 100 დავალებისაგან.
- ◆ **მეორე ნაწილი** ამოწმებს ინგლისურ ენაზე მოსმენისა და ლაპარაკის უნარებს. მოსმენის დავალებებზე მუშაობისას მონაწილე ისმენს სხვადასხვა სირთულისა და შინაარსის ტექსტებს და უპასუხებს დასმულ შეკითხვებს. დავალებები ამ შემთხვევაშიც არჩევითი პასუხების მქონეა, ტესტის ლაპარაკის ნაწილი კი შედგება სხვადასხვა სირთულისა და თემატიკის შეკითხვებისა და სურათის აღწერისაგან.



- ◆ **A1 (Elementary/დაბალი) - მოსმენა:** შეუძლია მიჰყვეს ძალიან ნელ, აუნქარებელ და დიდი პაუზების მქონე საუბარს; **კითხვა:** შეუძლია გაიგოს ძალიან მოკლე, მარტივი ტექსტები და ის ცალკეული წინადადებები, რომლებშიც მისთვის ნაცნობი სიტყვები ან მარტივი ფრაზებია გამოყენებული; **წერა:** შეუძლია წერილობით მოითხოვოს და/ან გადასცეს ზოგადი ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ; **ლაპარაკი:** შეუძლია ილაპარაკოს მარტივი თემების შესახებ, ლაპარაკობს ნელა, იყენებს მარტივ ენობრივ კონსტრუქციებს, იმეორებს დებულებებს.
- ◆ **A2 (Pre-intermediate/საშუალოზე დაბალი) - მოსმენა:** აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაიგოს, თუ თანამოსაუბრე მეტყველებს ნელა და გარკვევით; **კითხვა:** შეუძლია გაიგოს მოკლე, მარტივი ტექსტები, რომლებშიც განსაკუთრებით ხშირად გამოყენებადი ლექსიკური ერთეულები გვხვდება; **წერა:** შეუძლია მოკლე, მარტივი და ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ტექსტების შექმნა; **ლაპარაკი:** შეუძლია ილაპარაკოს მარტივი და ნაცნობი თემების შესახებ, კომუნიკაცია ერთფეროვანი და მარტივია.
- ◆ **B1 (Intermediate/საშუალო) - მოსმენა:** აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაიგოს, თუ საუბარი მისთვის ნაცნობ თემატიკას ეხება და მეტყველება მკაფიო და სტანდარტულია; **კითხვა:** მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაიგოს ფაქტობრივი ინფორმაციის შემცველი ტექსტები, თუ თემატიკა მის საქმიანობას ანდა ინტერესებს უკავშირდება; **წერა:** შეუძლია პირადი ხასიათის წერილის ან მცირე ტექსტის შექმნა და საკუთარი მოსაზრების მარტივად, მაგრამ თანმიმდევრულად გამოხატვა; **ლაპარაკი:** შეუძლია სხვადასხვა სიტუაციაში მარტივი, მაგრამ მრავალფეროვანი ლექსიკის გამოყენება.
- ◆ **B2 (Post-intermediate/საშუალოზე მაღალი) - მოსმენა:** აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გაიგოს, თუ თანამოსაუბრე არ იყენებს რთულ ფრაზებს; **კითხვა:** აქვს მდიდარი ლექსიკა, თუმცა ნაკლებად გამოყენებადი ფრაზების ნაკითხვისას ტექსტის გაგება უჭირს; **წერა:** შეუძლია საკუთარი აზრის ანდა რაიმე ამბის შთამბეჭდავად გადმოცემა; **ლაპარაკი:** შეუძლია ლაპარაკი თავისუფლად, სპონტანურობის გარკვეული ხარისხით.
- ◆ **C1 (Advanced/მაღალი) - მოსმენა:** შეუძლია საუბრის შინაარსის გაგება რთული და კომპლექსური თემების შესახებ, თუმცა შესაძლოა ხანდახან დეტალების დაზუსტება დასჭირდეს; **კითხვა:** შეუძლია რთული და ვრცელი ტექსტების გაგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტექსტის რთული მონაკვეთების გადაკითხვის შესაძლებლობა მიეცემა; **წერა:** შეუძლია საკუთარი აზრის გარკვევით და ზუსტად გამოხატვა; **ლაპარაკი:** შეუძლია საკუთარი აზრის თავისუფლად და სპონტანურად გადმოცემა.



ფლობის დონის განმსაზღვრელი ტესტი

ტესტის მიზანი

ტესტის მიზანია, განსაზღვროს საგამოცდო პროცესის მონაწილის კომპიუტერული უნარები და შეაფასოს, თუ რამდენად ეფექტიანად შეუძლია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება კონკრეტული ამოცანის გადაჭრისას.

კომპიუტერის ცოდნის დონეს ტესტი შემდეგი **სფეროების** მიხედვით აფასებს:

- ◆ **ოპერაციული სისტემა Windows და კომპიუტერი (აპარატურული უზრუნველყოფა), ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა;**
- ◆ **ტექსტური რედაქტორი MS Word;**
- ◆ **ელექტრონული ცხრილები MS Excel;**
- ◆ **საპრეზენტაციო პროგრამა MS PowerPoint.**

დამკვეთის დაინტერესებისა და მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია სხვა პროგრამებისა თუ დამატებითი კომპიუტერული უნარების შეფასებაც.

ტესტის ფორმატი

თითოეული სფეროს შესაფასებელი ტესტი პრაქტიკული დავალებებისაგან იქნება შედგენილი:

ოპერაციული სისტემა, ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა - ოპერაციულ სისტემა Windows-ში მითითებული მოქმედებების შესრულება, ოპერაციები ვებბრაუზერში და ელექტრონული ფოსტის ფუნქციების გამოყენება;

ტექსტური რედაქტორი - ტექსტურ რედაქტორ MS Word-ში კონკრეტული მითითებების მიხედვით საბაზისო და გაფართოებული ოპერაციების შესრულება;

საპრეზენტაციო პროგრამა - პროგრამა MS PowerPoint-ში კონკრეტული მითითებების მიხედვით პრეზენტაციის შექმნა;

ელექტრონული ცხრილები - პროგრამა MS Excel-ში ცხრილის სახით წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი და დამუშავება.

ტესტის შეფასება

ტესტირების შედეგების საფუძველზე გაიცემა **საბაზისო, საშუალო ან პროფესიული ცოდნის** დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი.



დამოუკიდებლად ფასდება ოთხი კომპონენტი:

- ◆ წაკითხულის გააზრება;
- ◆ რაოდენობრივი მსჯელობა;
- ◆ ანალიტიკური წერა;
- ◆ ლოგიკური მსჯელობა.

ანალიტიკური წერა

ტესტის მიზანი

ტესტი ამოწმებს აზრის წერილობითი ფორმით გადმოცემის უნარს – რამდენად შეუძლია მონაწილეს აზრის ცხადად, მწყობრად და თანმიმდევრულად გადმოცემა, შესაბამისი ლექსიკის გამოყენება, თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა.

სხვადასხვა ტიპის დავალებების საშუალებით მოწმდება, რამდენად შეუძლია მონაწილეს:

1. შეთავაზებულ თემაზე საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა და დასაბუთება არგუმენტებითა და მაგალითებით;
2. ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დანახვა და სწორი დასკვნის გამოტანა;
3. განსხვავებული პოზიციების (თვალსაზრისების) კრიტიკული ანალიზი, ერთ-ერთის სასარგებლოდ არჩევის გაკეთება და მისი დასაბუთება.

ტესტის ფორმატი

წერითი დავალებების ტიპებია:

1. თემა მოცემულ საკითხზე;
2. მსჯელობის ანალიზი;
3. გადანწყვეტილების დასაბუთება.

ტესტი შეიძლება ამ სამი ტიპის დავალების ნებისმიერ კომბინაციას შეიცავდეს. მონაწილეს ევალება თითოეული დავალების მიხედვით წერილობითი ტექსტის შექმნა.

წაკითხულის გააზრება

ტესტის მიზანი

ტესტიადგენს, რამდენად შეუძლია საგამოცდო პროცესის მონაწილეს წაკითხული ტექსტის ადეკვატური გაგება და გააზრება:

- (ა) ტექსტში ცხადად მოცემული ინფორმაციის ამოკითხვა;
- (ბ) ტექსტიდან მთავარი აზრის გამოტანა;
- (გ) ტექსტში სხვადასხვა ლოგიკური კავშირის დანახვა (მიზეზშედეგობრივი, ძირითადი და მეორეხარისხოვანი, ფაქტი და ვარაუდი და მისთ.);
- (დ) ავტორის პოზიციის ამოცნობა;
- (ე) ტექსტის სტრუქტურაში გარკვევა.

ტესტის ფორმატი

სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ტექსტები სხვადასხვა თემაზე; ცალკეული ტექსტის მოცულობაა – 450-500 სიტყვა. თითოეულ ტექსტს ახლავს არჩევითი პასუხების მქონე რამდენიმე შეკითხვა.



ლოგიკური მსჯელობა

თესტის მიზანი

ამონშებს მონაწილის უნარს, თუ რამდენად შეუძლია:

- ◆ ამა თუ იმ მიმართების სტრუქტურის ამოცნობა და მასთან დაკავშირებით მართებული დასკვნის გამოტანა;
- ◆ მოცემული მსჯელობის შეფასება, ანალიზი და კრიტიკა, რაცუკვე მიღებული გადაწყვეტილებების შემონშმებასა და არსებული ნაკლოვანებების გამოვლენაზეა ორიენტირებული;
- ◆ ლოგიკური ჩარჩოს რეკონსტრუირება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება არასრული ინფორმაციის საფუძველზე;
- ◆ დასმული ამოცანის გადაწყვეტა ვერბალურ-ლოგიკურ მსჯელობაზე დაყრდნობით;
- ◆ გარკვეული კანონზომიერების ამოცნობა აბსტრაქტული მიმართებების დამყარების საფუძველზე.

თესტის ფორმატი

აღნიშნული ტესტი შეიცავს არჩევითი პასუხების მქონე დავალებებს.

რაოდენობრივი მსჯელობა

თესტის მიზანი

ტესტი მიზნად ისახავს გაარკვიოს, თუ რამდენად შეუძლია მონაწილეს არსებული რაოდენობრივი ინფორმაციის საფუძველზე ზუსტი მსჯელობის შედეგად მართებული დასკვნის გამოტანა.

კერძოდ, გაარკვიოს:

- ◆ რამდენად იცნობს მონაწილე ელემენტარულ მათემატიკურ ცნებებს;
- ◆ რამდენად შეუძლია რაოდენობრივი სახით მიწოდებული ინფორმაციის (ცხრილების, დიაგრამების) დამუშავება, ანალიზი და გამოყენება;
- ◆ რამდენად ახერხებს რაოდენობრივი სახის ელემენტარულ მათემატიკურ დებულებებს შორის ძირითადი ლოგიკური მიმართებების დადგენას;
- ◆ რამდენად შესწევს უნარი განსაზღვროს, საკმარისია თუ არა რაოდენობრივი სახით მიწოდებული ესა თუ ის ინფორმაცია მოცემული ამოცანის გადასაჭრელად.

თესტის ფორმატი

აღნიშნული ტესტი შეიცავს არჩევითი პასუხების მქონე დავალებებს.

თესტის შეფასება

ტესტირების მონაწილის შეფასება ხდება ცალკეულ კომპონენტში. ყოველ კომპონენტში მიღებული ქულის შესაბამისად მონაწილე შეფასდება შემდეგი 4 დონის მიხედვით:

- ◆ შეფასება A: უმაღლესი (პოპულაციის საუკეთესო 5%);
- ◆ შეფასება B: მაღალი (პოპულაციის საუკეთესო 10%);
- ◆ შეფასება C: კარგი (პოპულაციის საუკეთესო 30%);
- ◆ შეფასება D: საშუალო (პოპულაციის საუკეთესო 50%).



ბანსაზღვრელი ტესტი

ტესტის მიზანი

ტესტი სახელმწიფო (ქართული) ენის ოთხ სხვადასხვა დონეზე ფლობის უნარს აფასებს. ეს დონეებია:

- ◆ საკომუნიკაციო ქართული (I - დაბალი დონე, ჩანაწერი სერტიფიკატში: **„ფლობს სახელმწიფო ენას მინიმალურ საკომუნიკაციო დონეზე - ენის ფლობის დაბალი დონე“**);
- ◆ ქართული ენის პრაქტიკული ფლობა (II-საშუალო დონე, ჩანაწერი სერტიფიკატში: **„ფლობს სახელმწიფო ენას პრაქტიკულ საკომუნიკაციო დონეზე - ენის ფლობის საშუალო დონე“**);
- ◆ ქართულ ენაზე საქმის წარმოების უნარი (III - მაღალი დონე, ჩანაწერი სერტიფიკატში: **„კარგად ფლობს სახელმწიფო ენას, შეუძლია საქმის წარმოება ქართულად - ენის ფლობის მაღალი დონე“**);
- ◆ ქართული ენის სრულყოფილი ფლობა (IV - უმაღლესი დონე, ჩანაწერი სერტიფიკატში: **„სრულყოფილად ფლობს სახელმწიფო ენას - ენის ფლობის უმაღლესი დონე“**).

ტესტის ფორმატი

ტესტის ნაწილები განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ენის ფლობის რომელი დონის შესაბამისი სერტიფიკატის მიღება სურს დამკვეთს:

I დონე - მოსმენილი და წაკითხული ტექსტების გაგებისა და გააზრების უნარების შემოწმება;

II დონე - მოსმენილი და წაკითხული ტექსტების გაგებისა და გააზრების, აგრეთვე, ლაპარაკის უნარების შემოწმება;

III დონე - მოსმენილი და წაკითხული ტექსტების გაგებისა და გააზრების, აგრეთვე, საქმიანი წერილის (ე. წ. ფუნქციური წერა) შექმნის უნარების შემოწმება;

IV დონე - მოსმენილი და წაკითხული ტექსტების გაგებისა და გააზრების, აგრეთვე, საქმიანი წერილის შექმნისა და ტექსტის რედაქტირების უნარების შემოწმება.

გამოცდა ლაპარაკში ძირითად ტესტირებაზე გვიან, რამდენიმე დღის შემდეგ ჩატარდება. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ძირითადი ტესტირების შედეგად მაღალი დონის შესაბამის კომპეტენციას გამოავლენს, **მას ლაპარაკის გამოცდის ჩატარება აღარ დასჭირდება და პირდაპირ მიენიჭება მიღწეული დონის შესაბამისი სერტიფიკატი.**

II, III ანდა IV დონეების შესაბამისი სერტიფიკატების მისაღებად ლაპარაკის გამოცდის ჩატარება მონაწილეს სამ შემთხვევაში აღარ დასჭირდება: 1) თუ იგი წარმატებით შეასრულებს რედაქტირების დავალებას და თავს ვერ გაართმევს ე. წ. ფუნქციურ წერას - ამ შემთხვევაში იგი მიიღებს II დონის შესაბამის სერტიფიკატს;

2) თუ იგი წარმატებით შეასრულებს ე.წ. ფუნქციური წერის დავალებას და თავს ვერ გაართმევს რედაქტირებას – ამ შემთხვევაში იგი მიიღებს III დონის შესაბამის სერტიფიკატს და 3) თუ იგი წარმატებით შეასრულებს ორივე მათგანს – ამ შემთხვევაში იგი მიიღებს IV დონის შესაბამის სერტიფიკატს.

ტესტირება ხუთი ნაწილისაგან (მოსმენა, კითხვა, რედაქტირება, წერა და ლაპარაკი) შედგება და ყოველ მონაკვეთს ქულათა საკუთარი ბარიერი აქვს განსაზღვრული – სერტიფიცირებაში მონაწილემ **თითოეულ მათგანში 60%-ზე მეტი ქულა უნდა მოიპოვოს.**

ტესტირების შემადგენელი ნაწილების თანმიმდევრობა ამგვარია:

გამოცდა იწყება მოსმენით, გრძელდება წაკითხვის გააზრებით, მას მიჰყვება რედაქტირების დავალება, ხოლო ტესტირების ძირითადი ნაწილი ე.წ. ფუნქციური წერით სრულდება. ტესტირება ლაპარაკში მომდევნო დღეებში ჩატარდება, **მას შემდეგ, რაც მონაწილისათვის ე.წ. ფუნქციური წერის ქულები გახდება ცნობილი.**

ტესტის შეფასება

- ◆ **I დონე** – მონაწილეს შეუძლია მოსმენილი და წაკითხული ტექსტების ადეკვატური გაგება და გააზრება, მარტივი დასკვნების გამოტანა და დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა;
- ◆ **II დონე** – მონაწილეს შეუძლია მოსმენილი და წაკითხული ტექსტების ადეკვატური გაგება და გააზრება, მარტივი დასკვნების გამოტანა და დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა, ასევე, საშუალო სირთულის (ყოფითი ხასიათის) თემების შესახებ საუბარი;
- ◆ **III დონე** – მონაწილეს შეუძლია მოსმენილი და წაკითხული ტექსტების ადეკვატური გაგება და გააზრება, დასკვნების გამოტანა და დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა. ასევე, იგი ფლობს ოფიციალური დოკუმენტების შექმნისა და საქმიანი მიმოწერის წარმოების უნარს;
- ◆ **IV დონე** – მონაწილეს შეუძლია მოსმენილი და წაკითხული ტექსტების ადეკვატური გაგება და გააზრება, დასკვნების გამოტანა და დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა, ასევე, იგი ფლობს ოფიციალური დოკუმენტების შექმნისა და საქმიანი მიმოწერის წარმოების უნარს, ავლენს ქართული ენის (პუნქტუაცია, მორფოლოგია-ორთოგრაფია, სინტაქსი, ლექსიკოლოგია-სტილისტიკა) ღრმა ცოდნასა და ტექსტის რედაქტირების უნარს.



ტესტის მიზანი

ტესტის მიზანი იმ სპეციფიკური უნარების შეფასებაა, რომელთაც კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება **სამუშაოთა გარკვეული ჯგუფის წარმატებით შესრულებაში**. კერძოდ, ტესტი ზომავს ინდივიდის შესაძლებლობას, წაიკითხოს და გაიაზროს ინსტრუქციები, გააანალიზოს ანგარიშები, აწარმოოს მარტივი გამოთვლები, დაახარისხოს დოკუმენტაცია და სხვ. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა კომპლექსურად შეფასდეს, რამდენად შესწევს ადამიანს უნარი დროის მოკლე მონაკვეთში, რაც შეიძლება სწრაფად და აკურატულად აღიქვას სხვადასხვა სახის დეტალი (ციფრები, ასოები, სიმბოლოები, სურათები, ფორმები და ა.შ.), შეძლოს მათი ინტერპრეტაცია/ანალიზი და გამოიტანოს დასკვნები.

ტესტის ფორმატი

ტესტი **საკანცელარიო უნარის განსხვავებულ ასპექტებს ზომავს. იგი შედგება სამი ნაწილისაგან. თითოეულ მათგანზე სამუშაოდ დროითი შეზღუდვაა დაწესებული.**

I ნაწილი - დოკუმენტაციაზე სწრაფად და აკურატულად მუშაობის უნარი.

ეს ქვეტესტი მოიცავს დავალებათა შემდეგ ტიპებს:

- ◆ **შემოწმება (Checking)** - ინფორმაციაზე დაკვირვება, მისი აკურატული და სწრაფი შემოწმება, დოკუმენტების ერთმანეთთან შედარება და მათი იგივეობის ან განსხვავებულობის დადგენა;

- ◆ **კორექტირება** - ტექსტში ორთოგრაფიული, გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომების აღმოჩენა და გასწორება.

II ნაწილი - დაგეგმვის, პრიორიტეტების მინიჭების, ინფორმაციის მოწესრიგების, დაარქივების უნარი.

ეს ქვეტესტი მოიცავს დავალებათა შემდეგ ტიპებს:

- ◆ **ფაილების მოწესრიგება** - დოკუმენტების სწრაფი დახარისხება და მოძებნა ანბანისა და ნუმერაციის მიხედვით;
- ◆ **რიცხვების დალაგება ზრდადობისა და კლებადობის მიხედვით** - ბაზისური მათემატიკური ცოდნის გამოყენებით რიცხვების ერთმანეთთან შედარება და მათი მაქსიმალურად სწრაფი და აკურატული მოწესრიგება.

III ნაწილი - არითმეტიკის, მათემატიკის საბაზო ცოდნა/გამოყენების უნარი.

ეს ქვეტესტი მოიცავს დავალებათა შემდეგ ტიპებს:

- ◆ **რიცხვებით სწრაფი ოპერირება** - მარტივი არითმეტიკული დავალებები, რომლებიც მოითხოვს მთელი რიცხვების მიმატებას, გამოკლებას, გამრავლებას, გაყოფასა და რიცხვების შედარებას;
- ◆ **ანალიზი** - დიაგრამებიდან, ცხრილებიდან, გრაფიკებიდან ინფორმაციის წაკითხვა და ინტერპრეტირება;
- ◆ **რიცხვთა მწკრივი** - მოცემულ მწკრივში რიცხვებს შორის ლოგიკური კავშირის აღმოჩენა.


ტესტის სამივე ნაწილი არჩევითი პასუხების მქონე შეკითხვებისაგან შედგება.



ტესტირების შედეგები

ტესტირების შედეგად მიღებული ქულები ქართული პოპულაციისათვის დადგენილი მიწნევის შემდეგი 4 დონის შესაბამისად ინტერპრეტირდება:

- ◆ შეფასება A: უმაღლესი (პოპულაციის საუკეთესო 5%);
- ◆ შეფასება B: მაღალი (პოპულაციის საუკეთესო 10%);
- ◆ შეფასება C: კარგი (პოპულაციის საუკეთესო 30%);
- ◆ შეფასება D: საშუალო (პოპულაციის საუკეთესო 50%).



ტესტის მიზანი

საზოგადოდ, ემოციური ინტელექტი განისაზღვრება, როგორც ემოციების იდენტიფიცირების, გაგების, გამოხატვის, რეგულირებისა და მართვის უნარი. ემოციების სწორად აღქმა და მართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომსახურების სფეროში ე.წ. ემოციური შრომით დაკავებული პერსონალის წარმატებული საქმიანობისათვის, ასევე მენეჯერულ საქმიანობაში ჩართული პირებისათვის. ემოციური ინტელექტის შეფასება ძალიან გვეხმარება ამ სფეროებში კადრების შერჩევის დროს რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ემოციური ინტელექტი არის ფაქტორი, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს პროფესიულ თუ აკადემიურ საქმიანობასა და სოციალურ ურთიერთობებში მიღწეულ წარმატებაში. შესაბამისად, ეს უნარი უფრო და უფრო ხშირად ფასდება კადრების შერჩევისა თუ პიროვნების დიაგნოსტიკის პროცესებში. ემოციური ინტელექტის ტესტი აფასებს საკუთარი და სხვების ემოციების აღქმისა და იდენტიფიცირების, ასევე, აზროვნების ხელშეწყობისა და ქცევისათვის მიმართულების მისაცემად ემოციური ინფორმაციის გამოყენების უნარს/ შესაძლებლობას.

ტესტის ფორმატი

ტესტი აფასებს ოთხ კომპონენტს და შედგება შემდეგი ქვეტესტებისაგან: **1. ემოციების აღქმა; 2. ემოციების გამოყენება; 3. ემოციების გაგება; 4. ემოციების მართვა.**

I ემოციების აღქმა - საუბრის, ქცევის, ამა თუ იმ ისტორიის და/ან სიტუაციის სხვადასხვა მახასიათებლის თავისებურებებზე დაყრდნობით საკუთარი და გარშემომყოფების ემოციების ზუსტად/ სწორად ამოცნობა;

II ემოციების გამოყენება - ემოციების განზოგადების, გამოყენებისა და გაგების გზით აზროვნების ემოციური ხელშეწყობა და გრძნობების გადმოცემა;


III ემოციების გაგება - ემოციების გაანალიზება, მათი ერთმანეთისაგან განსხვავება და დაჯგუფება, ემოციური მნიშვნელობების ცვლილების შეფასება და შედეგების გათვალისწინება;

IV ემოციების მართვა - ემოციებისადმი გახსნილობისა და მათი კონტროლის გზით საკუთარი თავისა და გარშემომყოფების უკეთ გაგება, ემოციების გამოყენება პიროვნული განვითარებისათვის.

ტესტის შეფასება

ტესტირების შედეგად მიღებული ქულები ქართული პოპულაციისათვის დადგენილი მიღწევის შემდეგი 4 დონის შესაბამისად ინტერპრეტირდება:

- ◆ შეფასება A: უმაღლესი (პოპულაციის საუკეთესო 5%);
- ◆ შეფასება B: მაღალი (პოპულაციის საუკეთესო 10%);
- ◆ შეფასება C: კარგი (პოპულაციის საუკეთესო 30%);
- ◆ შეფასება D: სწაშუალო (პოპულაციის საუკეთესო 50%).



STAT - The Sternberg Triarchic Abilities Test

ტესტის მიზანი

პრაქტიკული ინტელექტი არის ის, რასაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში საღ აზრს ვუნოდებთ. ეს არის წარმატებისაკენ მიმავალი ინტელექტი - **ადამიანის უნარი, მიაღწიოს წარმატებას პროფესიულ და პირად ცხოვრებაში** ანალიტიკური, შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებით.

ბოგვერ ჩვენი ყოველდღიური პრობლემების გადაჭრისას არ გვადგება ის ცოდნა და აკადემიური უნარები, რომლებიც სკოლაში თუ უნივერსიტეტში მივიღეთ და შევიძინეთ. ხშირია შემთხვევები, როდესაც დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე ადამიანს უფრო წარმატებული კარიერა აქვს, ვიდრე მას, ვინც სასწავლებელი უმაღლესი შეფასებებით დაასრულა. ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად მხოლოდ და მხოლოდ სათანადო განათლების მიღება არ არის საკმარისი და ამ თვალსაზრისით საკმაოდ დიდ როლს პრაქტიკული ინტელექტი ასრულებს.

თანამედროვე მსოფლიოში კადრების შერჩევის პროცესში სულ უფრო მეტად გამოიყენება პრაქტიკული ინტელექტის შეფასება, რადგან ითვლება, რომ ყოველდღიური პრობლემების გადაჭრის უნარი ყველაზე უკეთ ახდენს ადამიანის პროფესიული წარმატების პროგნოზირებას.

პრაქტიკული უნარების ტესტი აფასებს ადამიანის უნარს, გადაჭრას ყოველდღიურ ცხოვრებაში წამოჭრილი პრაქტიკული სახის პრობლემები - აკუმულირება მოახდინოს თავისი ძლიერი თვისებებისა და კორექტირება გაუკეთოს სისუსტეებს.


ტესტის ფორმატი

ტესტი აფასებს სამ კომპონენტს და შედგება შემდეგი ქვეტესტებისაგან: **1. ანალიტიკური უნარები; 2. შემოქმედებითი უნარები; 3. პრაქტიკული უნარები.** თითოეული ქვეტესტი მოიცავს სხვადასხვა ტიპის დავალებებს - ვერბალურს, არავერბალურს, რაოდენობრივსა და ესეს.

ტესტის შეფასება

ტესტირების შედეგად მიღებული ქულები ქართული პოპულაციისათვის დადგენილი შემდეგი 4 დონის შესაბამისად ინტერპრეტირდება:

- ◆ შეფასება A: უმაღლესი (პოპულაციის საუკეთესო 5%);
- ◆ შეფასება B: მაღალი (პოპულაციის საუკეთესო 10%);
- ◆ შეფასება C: კარგი (პოპულაციის საუკეთესო 30%);
- ◆ შეფასება D: საშუალო (პოპულაციის საუკეთესო 50%).






ბაძისუჯი
ცენტრი
ec.ge

-  · ბინდელის-ქუჩა N9 ·
-  · (995 32) 2 47 33 33 ·
-  · hr@naec.ge ·
-  · www.naec.gov.ge ·





www.naec.gov.ge